ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4527592

ნომერი: AR1679095

თარიღი : 03.05.2019

გაცემის თარიღი : 03.06.2019

გაცნობის თარიღი : 03.06.2019

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი ვაგზალი , მეტროპოლიტენის სამმართველოს მიმდებარედ (ნაკვეთი 05/070);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა წაქაძე პ/ნ 01024023438
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 16 ბ. 125

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1135971 (2823398; 08/09/2016)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 7.03.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ავტოვაგზალი (სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტი, ასევე კომერციული სახეობა)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გიორგი ხმალაძე

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს ხმალაძე არქიტექტორები
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404856376

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს თბილისი პარკინგ
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404383476
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შალვა წაქაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024023438

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1618.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1394.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 15557.1
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 5560.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 1461.0
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 358.6
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 8177.1
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 59900.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 54500.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 5400.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 39.85
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 35.75
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 4.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 5474.1/1618=3.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისში, მოედანი ვაგზალი, მეტროპოლიტენის სამმართველოს მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები დამტკიცდა სამსახურის 07.03.2014 წლის №1135971 გადაწყვეტილებით. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 45-ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად და სამსახურის 07.03.2014 წლის №1135971 გადაწყვეტილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ძალაში იყო მისი გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემა არ მომხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ვადის გასვლასთან დაკავშირებით ძალადაკარგულია. ზემოაღნიშნული დადგენილის 37-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ სტადიად (პირველი სტადია – მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება; მეორე სტადია – არქიტექტურული პროექტის შეთანხმება; მესამე სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა). მხოლოდ წინა სტადიით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების დასრულებისა და დადებითი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ შეუძლია ნებართვის მაძიებელს მოითხოვოს შემდეგი სტადიის ადმინისტრაციული წარმოების დაწყება. შესაბამისად, სათანადო წესით დამტკიცებული და ძალაში მყოფი

ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების არსებობის გარეშე, არქიტექტურული პროექტის შეთანხმება ან მშენებლობის ნებართვის გაცემა ვერ მოხდება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია 07.03.2014 წლის №1135971 გადაწყვეტილების საფუძველზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა ან/და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესაძლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.